საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისია

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კოლეგიის თავმჯდომარე - მამუკა ნოზაძე

კოლეგიის წევრი - ანა კოტეტიშვილი

კოლეგიის წევრი - ბესარიონ ბოხაშვილი

საჩივრის ავტორი: ს. შ. ს. ს.

საჩივრის ავტორის წარმომადგენლები: თ. შ.; მ. კ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 05.09.2022

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 072/22

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ვ. მ.-ის /სიითი №/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ვ. მ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას 2022 წლის 5 სექტემბერს საჩივრით მომართა ს. შ. ს. ს.-ს (შემდგომში „შსს“) იურიდიული დეპარტამენტის დირექტორის მოადგილემ, თ. შ.-მა და მოითხოვა ადვოკატ ვ. მ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2022 წლის 20 მარტს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის სამმართველოს პოლიციის N სამმართველოში, ამავე სამმართველოს წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე მიმდინარეობდა არასრულწლოვნის მიმართ საგამოძიებო

მოქმედება მისი კანონიერი წარმომადგენლის თანდასწრებით. მას შემდეგ, რაც აღნიშნულ საქმეზე კონკრეტული საგამოძიებო მოქმედება დასრულდა, პოლიციის ადმინისტრაციულ შენობაში მივიდა არასრულწლოვნის ინტერესების დამცველი, ადვოკატი ვ. მ., რომელმაც წარადგინა შესაბამისი ორდერი და მოითხოვა მის მისვლამდე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების ოქმის გაცნობა. ოქმის გაცნობისას, მან ამოღების ოქმსა და დადგენილებაზე გააკეთა შენიშვნა, რის გამოც გამომძიებელმა მას განუმარტა, რომ უფლება არ ჰქონდა შენიშვნა შეეტანა იმ საგამოძიებო მოქმედების ოქმში, რომელშიც მას მონაწილეობა არ მიუღია. აღნიშნული განცხადების შემდეგ ვ. მ.-მა საგამოძიებო მოქმედების ოქმის ფურცლები და კალამი სახეში შეაყარა პოლიციის თანამშრომელს. ამ ქმედებით მან აშკარა უპატივცემულობა გამოხატა მისი, როგორც გამომძიებლის და პოლიციელის მიმართ, მიაყენა მას სიტყვიერი შეურაცხყოფა.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, გამომძიებელმა ადვოკატს არაერთხელ მოუწოდა დამშვიდებისკენ, თუმცა ვ. მ.-მა ხელი მოჰკიდა მისი დაცვის ქვეშ მყოფ არასრულწლოვანს და ისე, რომ არ დააფიქსირეს პოზიცია საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილეობაზე თანხმობაზე ან უარის თქმის შესახებ, თვითნებურად შეეცადნენ პოლიციის შენობის დატოვებას. ამასთან, ადვოკატი კვლავ აგრძელებდა აგრესიულ მოქმედებას, ლანძღვას, პროვოკაციულ მოქმედებას, საგამოძიებო მოქმედებაში ხელშეშლას და არღვევდა წესრიგს.

1.4 თ. შ.-ის განმარტებით, ადვოკატს არაერთხელ განემარტა, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფ პირთან კიდევ იყო საგამოძიებო მოქმედებები ჩასატარებელი, ამაზე კი ვ. მ.-მა პოლიციის თანამშრომლებს ყვირილი, სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება დაუწყო და აღნიშნული ქმედება პოლიციის ადმინისტრაციული შენობის ეზოში მდებარე სკვერშიც გააგრძელა. პოლიციის თანამშრომლები კვლავ მოუწოდებდნენ ადვოკატს დამშვიდებისკენ, თუმცა ის კვლავ ხმამაღალ და შეურაცხმყოფელ სიტყვებს გამოთქვამდა როგორც მათ მიმართ, ისე უმისამართოდ, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას. ამის მიუხედავად, ადვოკატი არ წყვეტდა აღნიშნულ ქმედებებს, რის გამოც იგი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლების შესაბამისად, ადმინისტრაციული წესით დააკავეს წვრილმანი ხულიგნობისა და პოლიციის შეურაცხყოფის ფაქტზე.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 11 ივლისის დადგენილებით, ადვოკატი ვ. მ. მოსამართლე ნ. შ.-მა სამართალდამრღვევ პირად ცნო, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლებზე დაყრდნობით, სახდელის სახედ და ზომად კი 2.500 ლარის ოდენობის ჯარიმა განესაზღვრა.

1.6 საჩივრის ავტორის განმარტებით, ვ. მ.-ის სამართალდამრღვევ პირად გამოცხადების შემდეგ, 2022 წლის 11 ივლისს, მან სოციალურ ქსელში "Facebook", მისი პირადი კომპანიის გვერდზე საჯაროდ გაავრცელა შეურაცხმყოფელი ვიდეო მიმართვა, რომლის საშუალებითაც სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ნ. შ.-ს, კერძოდ, მისი მისამართით გააჟღერა ისეთი ტერმინები, როგორიცაა: „გარეწარი", „ჩათვალე გაგინებთ" (დედის მისამართით გინება) და სხვა შეურაცხმყოფელი ფრაზები. აღნიშნულის შესახებ ვ. მ.-ის მიმართ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა

კოდექსის 166-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად და თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 20 ივლისის დადგენილებით, ვ. მ. ცნობილ იქნა სამართალდამრღვევ პირად, რისთვისაც სახელის სახედ 1.000 ლარის ოდენობით ჯარიმა განესაზღვრა.

1.7 საჩივრის ავტორის განმარტებით, მან საჩივარს დაურთო მასალები, რომლებიც უტყუარად ადასტურებს, რომ ვ. მ.-მა დაარღვია პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი ნორმები და ქცევის წესები, რაც გამოიხატა როგორც 2022 წლის 20 მარტს პოლიციელთა მიმართ (და არამხოლოდ) შეურაცხყოფის მიყენებაში, ისე 2022 წლის 11 ივლისს, ზემოაღნიშნულ ფაქტზე სასამართლოს მიერ ვ. მ.-სთვის არადამაკმაყოფილებელი შედეგის გამოცხადების შემდეგ, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ნ. შ.-ის მიმართ შეურაცხმყოფელი ვიდეომიმართვის განხორციელებაში.

1.8 თ. შ.-ის განცხადებით, შინაგან საქმეთა სამინისტრო ითვალისწინებს, რომ საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილეობის მიღება ან პირის მიმართ გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილება შეიძლება მისთვის გარკვეულ ფსიქო-ემოციურ ფაქტორებთან იყოს დაკავშირებული ან მნიშვნელოვან გავლენას ახდენდეს მის სამართლებრივ მდგომარეობაზე, თუმცა არასასურველი სამართლებრივი შედეგი არცერთ შემთხვევაში არ შეიძლება გახდეს პოლიციელთა მიმართ შეურაცხყოფის მიყენების გამამართლებელი ან თუნდაც მოსამართლის მიმართ შეურაცხყოფის მიყენებისა და მის ობიექტურობაში ეჭვის შეტანის საფუძველი.

1.9 საჩივრის ავტორის პოზიციით, განსაკუთრებით საყურადღებოა ის გარემოება, რომ ვ. მ. ზემოთ ხსენებულ ქმედებას ახორციელებდა არასრულწლოვნის თანდასწრებით, რაც კიდევ უფრო ამძიმებს მისი, როგორც ადვოკატის მოქმედებას, რადგან მას ყველაზე უკეთ უნდა გაეცნობიერებინა რა შედეგები შეიძლებოდა მოჰყოლოდა არასრულწლოვნის თანდასწრებით პოლიციელთა (და არამხოლოდ) მიმართ ლანძღვა-გინებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევას. თუმცა, ადვოკატმა უგულებელყო პროფესიული ეთიკის ნორმები და ასევე, დაივიწყა მისი დაცვის ქვეშ მყოფი არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად მოქმედების ვალდებულება.

1.10 ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის 2022 წლის 28 სექტემბერის სხდომაზე ს. შ. ს. ს.-ს წარმომადგენლებმა თ. შ.-მა და მ. კ.-მ განმარტეს, რომ შსს-ს მიერ ეთიკის კომისიაში საჩივრის წარდგენის მთავარი საფუძველი ადვოკატ ვ. მ.-ის მიერ მისი არასრულწლოვანი კლიენტის თანდასწრებით სამართალდამრღვევი ქმედების განხორციელების ფაქტია. ადვოკატის სამართალდამრღვევის ფაქტს და ადასტურებს თბილისის საქალაქო სასამართლოს დადგენილება, ადვოკატ ვ. მ.-ის სამართალდამრღვევ პირად ცნობის შესახებ.

1.11 შსს-ს წარმომადგენლების განცხადებით, აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტრომ ვერ მოიპოვა და მათ არ გააჩნიათ პოლიციის ადმინისტრაციული შენობის შიდა თუ გარე პერიმეტრზე დამონტაჟებული სათვალთვალო კამერების ვიდეოჩანაწერები. ამასთან, ისინი განმარტავენ, რომ სამართალდარღვევის საქმის წარმოების დროს მხოლოდ ვიდეოჩანაწერი არ მიიჩნევა საკმარის მტკიცებულებად, ხოლო საქმესთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებები მათ რიგი მტკიცებულებებით დაადასტურეს.

1.12 საჩივრის ავტორის წარმომადგენელთა განმარტებით, შინაგან საქმეთა სამინისტროში წარმოდგენილი საჩივარი, რომელიც ვ. მ.-ის მიერ მოსამართლე ნ. შ.-ის მიმართ შეურაცხმყოფელი ხასიათის მიმართვებს შეიცავდა, წარმოდგენილია არა უშუალოდ მოსამართლე ნ. შ.-ის, არამედ თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის მიერ, თუმცა მათი თქმით, ადმინისტრაციული საქმის მწარმოებელი ორგანოსთვის არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა საჩივრით ვინ მიმართავდა მათ. ამასთან, თ. შ. განმარტავს, რომ სასამართლოს თავმჯდომარემ მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროში გადასაგზავნ ოფიციალურ მიმართვას მოაწერა ხელი, ხოლო უშუალოდ საჩივრის ავტორი და მასზე ხელმომწერი პირი მოსამართლე ნ. შ.

1.13 წარმომადგენლების განმარტებით, ადვოკატმა ვ. მ.-მა სოციალურ ქსელში "Facebook", მისი პირადი კომპანიის გვერდზე საჯაროდ გაავრცელა შეურაცხმყოფელი ვიდეო მიმართვა, რომლის საშუალებითაც სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ნ. შ.-ს და რადგან „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების მე-6 მუხლის „გ" ქვეპუნქტი განმარტავს, რომ „დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველია: [...] გ) პროცესის მწარმოებელი ორგანოს მიმართვა ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე", მათ მიიჩნიეს, რომ სწორედ აღნიშნული მუხლის „გ" ქვეპუნქტის საფუძველზე ისინი უფლებამოსილნი იყვნენ ადვოკატის მიერ განხორციელებული დარღვევის თაობაზე მოემართათ ეთიკის კომისიისთვის და ისინი დამოკიდებულნი არ არიან მოსამართლის შეხედულებაზე - ის საჭიროდ ჩათვლიდა თუ არა, რომ ადვოკატთა ასოციაციისთვის მიემართა ვ. მ.-ის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების მოთხოვნით.

1.14 საჩივრის ავტორის წარმომადგენელთა განმარტებით, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, მათ მიაჩნიათ, რომ ადვოკატმა ვ. მ.-მა დაარღვია პროფესიული ეთიკის კოდექსი, რის გამოც მას შესაბამისი დისციპლინური პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 საპროცესო კოლეგიის 2022 წლის 19 ოქტომბრის სხდომაზე ადვოკატმა ვ. მ.-მა განმარტა, რომ მას ზუსტად არ ახსოვს 2022 წლის 20 მარტს მას გ. გ. ას ოჯახმა არასრულწლოვანი გ. გ. ას ინტერესების დაცვა სთხოვეს, რადგან ადვოკატ ავთო გიორგაძეს, რომელიც რამდენიმე თვეა გ. გ. ას ინტერესებს იცავს, არ ეცალა. ის ადვოკატ ბ. ნ.-სთან ერთად წავიდა ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის სამმართველოს პოლიციის VII სამმართველოში, სადაც მისი კლიენტი, გ. გ. იმყოფებოდა.

2.2 ადვოკატის განმარტებით, პოლიციის შენობაში მისვლისთანავე მან დაცვის ორდერი წარადგინა სამმართველოს კანცელარიაში. სამმართველოს უფროსმა აცნობა, რომ პროკურატურისგან იყო წინადადება - თუ არასრულწლოვანი აღიარებდა ჩადენილ დანაშაულს, მას არ დააკავებდნენ, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში მისი დაკავება მოუწევდათ. ადვოკატის განმარტებით, უშუალოდ არასრულწლოვანთან კონტაქტის შემდეგ გაირკვა, რომ მას ტანსაცმლის გადაცემას სთხოვდნენ, თუმცა ჯერ იგი პოლიციელების მხრიდან ტანსაცმლის ამოღების დადგენილებას გაცნობილი არ იყო და როდესაც გ. გ. ამ აღნიშნულთან დაკავშირებით შენიშვნა გააკეთა, პოლიციელები

გაღიზიანდნენ და მათ მხარეს უფლება არ მისცეს, რომ გაცნობოდნენ ამ დადგენილებას. ამის შემდეგ, ვ. მ.-მა იკითხა გ. გ. იყო თუ არა დაკავებული და როდესაც უპასუხეს, რომ ის არ დაუკავებიათ, გადაწყვიტეს პოლიციის შენობის დატოვება, რის გამოც პოლიციელები მათ გაეკიდნენ და უფლება არ მისცეს შენობა დაეტოვებინათ. აღნიშნული ქმედების შემდეგ პოლიციელები შენობაში დაბრუნდნენ, ხოლო ვ. მ., ადვოკატი ბ. ნ., გ. გ. და მამამისი - ნ. გ. სამმართველოს ეზოში მდებარე სკვერში დარჩნენ, რა დროსაც ადვოკატმა ვ. მ.-მა შსს-ს გენერალურ ინსპექციაში დარეკა, რათა განეცხადებინა საადვოკატო დაცვის უფლების სრულყოფილად განხორციელების ხელშეშლისა და თავისუფლად გადაადგილების უფლების შეზღუდვის შესახებ, თუმცა მან ვერ შეძლო მათთან დაკავშირება. რამდენიმე წუთში პოლიციელები შენობიდან ისევ გამოვიდნენ და განაგრძეს მათთვის გადაადგილების უფლების შეზღუდვა, ამასთან ვ. მ.-ს მიმართავდნენ ფრაზით "ბიჭო", საბოლოოდ კი იგი დააკავეს პოლიციელების შეურაცხყოფისა და დაუკითხავად პოლიციის შენობის დატოვების საფუძვლით.

2.3 ადვოკატის განცხადებით, პოლიციის შენობაში დამონტაჟებული იყო სათვალთვალო კამერები როგორც შიდა, ასევე გარე პერიმეტრზე, სადაც მომხდარ ფაქტი უნდა ასახულიყო. მომხდარი ფაქტის პირველივე დღეს საქმეში ჩაერთო საქართველოს სახალხო დამცველი, რომელმაც სათვალთვალო კამერების ჩანაწერების დაარქივება მოითხოვა, ამასთან, ადვოკატმა ვ. მ.-მა პერსონალურადაც დააყენა სასამართლოში იგივე შუამდგომლობა, თუმცა მან ს. შ. ს. ს.-სგან პასუხად მიიღო, რომ მათ ვერ მოიპოვეს სათვალთვალო კამერების აღნიშნული ჩანაწერი.

2.4 ადვოკატის განმარტებით, როდესაც მისი დაცვის ქვეშ მყოფი არასრულწლოვანი მისი დაკავების ფაქტს შეესწრო ამან ერთგვარად ცუდად იმოქმედა მასზე, რადგან მან იცოდა, რომ თავად სჭირდებოდა დაცვა და ამ დროს მისი დამცველი ადვოკატი თავად დასაცავი გახდა. ამასთან, ადვოკატის განმარტებით, როდესაც მომხდართან დაკავშირებით თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია მის მიმართ ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ საქმეს განიხილავდა, მოსამართლემ განმარტა, რომ არასრულწლოვანს არ დაკითხავდნენ, რადგან ეს მის ფსიქიკაზე უარყოფითად იმოქმედებდა, თუმცა ადვოკატის პოზიციით, სწორედ პოლიციელების მიერ განხორციელებული ქმედება იმოქმედებდა არასრულწლოვანზე უარყოფითად და საყურადღებო იყო ეს ფაქტი.

2.5 ადვოკატის განმარტებით, მის მიერ მოსამართლე ნ. შ.-ის მიმართ გავრცელებულ შეურაცხმყოფელ ვიდეო მიმართვასთან დაკავშირებით, შსს საჩივრის არაუფლებამოსილი პირი იყო რომ ეთიკის კომისიაში აღნიშნულთან დაკავშირებით საჩივარი წარედგინა. ამასთან, ადვოკატის მოხსენებით, მან გამოხატა საკუთარი აზრი, რითიც პროფესიული რეგულაციები არ დაურღვევია.

3. ადვოკატის მოწმის, ადვოკატ ბ. ნ.-ის ახსნა-განმარტება:

3.1 2022 წლის 19 ოქტომბერის სხდომაზე, მოწმე ბ. ნ.-მ განმარტა, რომ იგი ვ. მ.-ის კოლეგაა. 2022 წლის 20 მარტს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის სამმართველოს პოლიციის VII სამმართველოში იგი ადვოკატ ვ. მ.-ს გაჰყვა, რათა ერთად დაეცვათ გ. გ.-ს ინტერესები.

3.2 მოწმის განმარტებით, როდესაც ისინი პოლიციის განყოფილებაში მივიდნენ მათ გაესაუბრა სამმართველოს უფროსი და მოახსენა, რომ პროკურორის მითითების თანახმად, თუ არასრულწლოვანი დანაშაულს აღიარებდა მას არ დააკავებდნენ, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში მისი დაკავება გახდებოდა საჭირო. მოწმის მოხსენებით, ისინი გაესაუბრნენ გ. გ. -ს, რომელმაც მათ განუმარტა, რომ ბრალის აღიარებას არ აპირებდა, რადგან უდანაშაულოდ მიიჩნევდა თავს.

3.3 ბ. ნ.-ის განცხადებით, არასრულწლოვანმა მათთან კონსულტაციისას განმარტა, რომ გამოძიება ისე დაიწყეს, რომ იგი გაცნობილი არ იყო გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით ამოღების შესახებ დადგენილებას. გ. გ.-ს ამ განცხადებამ პოლიციელის გაღიზიანება გამოიწვია და ითხოვდა, რომ არასრულწლოვანს დადგენილებაზე ხელი მოეწერა, გ. გ. კი ითხოვდა, რომ ჯერ გაეცნობოდა დადგენილებას, რათა სცოდნოდა მისი შინაარსი და შემდეგ მოაწერდა ხელს. მოწმის განმარტებით, აღნიშნული განცხადების შემდეგ გამომძიებელმა მაგიდაზე დადო დადგენილება, ხელი დააფარა მას და განმარტა, რომ ასე გაცნობოდნენ. ბ. ნ.-მ კი მოითხოვა დადგენილებს გადაცემა, რადგან ვერ შეძლებდნენ მას ამგვარად გაცნობოდნენ, ამაზე გამომძიებელმა მათ განუმარტა, რომ მას ასეთი ჩვევა ჰქონდა და დადგენილებას ხელში გადაცემის გარეშე უნდა გაცნობოდნენ.

3.4 მოწმე განმარტავს, რომ სწორედ ამ დროს მათთან ისევ მივიდა პოლიციის უფროსის მოადგილე და გადასცა, რომ უფროსს ისევ სურდა მათთან გასაუბრება. როდესაც ადვოკატები მივიდნენ მასთან, უფროსმა კვლავ განმარტა, რომ არასრულწლოვანი ან ბრალს აღიარებდა ან დააკავებდნენ მას, რაზეც მან ადვოკატებისგან პასუხად ისევ უარი მიიღო. ამის შემდეგ ბ. ნ. სამმართველოს კანცელარიაში მივიდა ორდერისა და განცხადების წარსადგენად, ხოლო ვ. მ. გამომძიებლის კაბინეტში გ. გ.-სთან და მის კანონიერ წარმომადგენელ ნ. გ.-სთან დაბრუნდა. ბ. ნ.-ის მოხსენებით, ამის შემდეგ დაახლოებით 2-3 წუთში მას ხმაური შემოესმა და დაინახა, რომ ვ. მ., გ. გ. და ნ. გ. მოდიოდნენ, მათ კი პოლიციის თანამშრომლები მოჰყვებოდნენ და შენობის დატოვების ნებას არ აძლევდნენ. ბ. ნ.-მ იკითხა დასრულდა თუ არა ყველა საგამოძიებო მოქმედება, რაზეც თანხმობა მიიღეს და მან განმარტა, რომ რადგან არასრულწლოვანი არ დაუკავებიათ და საგამოძიებო მოქმედებებიც დასრულდა, მათ სრული უფლება ჰქონდათ, რომ დაეტოვებინათ შენობა. მოწმის მოხსენებით, შენობიდან გასვლის შემდეგ პოლიციის თანამშრომლებმა ისინი სამმართველოს ეზოში მდებარე სკვერში წრეში მოაქციეს და წასვლის უფლებას არ აძლევდნენ, ამის მიზეზად კი პირის ბრალის შესახებ დადგენილების გამოცემას ასახელებდნენ.

3.5 მოწმე განმარტავს, რომ პოლიციის თანამშრომლები სამმართველოს შენობაში დაბრუნდნენ პირის ბრალდების შესახებ დადგენილებას შესადგენად, ხოლო ამ დროში ვ. მ.-მა რამდენიმეჯერ შსს-ს გენერალურ ინსპექციაში დარეკა, თუმცა მათ არ უპასუხიათ. დაახლოებით 5 წუთის შემდეგ 10-12 პოლიციელი გამოვიდა შენობიდან და ვ. მ. დააკავეს, დაახლოებით საათ ნახევარში კი გაათავისუფლეს. ბ. ნ.-ის მოხსენებით, ვ. მ.-ის მხრიდან არანაირ შეურაცხყოფას ადგილი არ ჰქონია, რაც გ. და ნ. გ.-მაც დაუდასტურეს მას და სწორედ ამის გამო მისთვის გაურკვეველი იყო ადვოკატის დაკავების მიზეზი. ამასთან, პოლიციის თანამშრომლები მსგავსი ფრაზებით მიმართავდნენ მათ: „ბიჭო“, „რას ჰქვია წახვალ“.

3.6 მოწმის განცხადებით, ვ. მ.-ის დაკავებამ მისი დავის ქვეშ მყოფი არასრულწლოვნის გაკვირვება გამოიწვია, რადგან ადვოკატს მისი ინტერესები უნდა დაეცვა, თუმცა პოლიციელების ქმედების შემდეგ ცალსახა გახდა, რომ პირიქით, ადვოკატი გახდა დასაცავი.

3.7 მოწმის განმარტებით, იგი მიიჩნევს, რომ გ. გ.-ს დასაკავებლად პოლიციელებს მისგან აღიარება სჭირდებოდათ და რადგანაც საქმეში ადვოკატები ჩაერთნენ, პოლიციელებმა ჩათვალეს, რომ მათ ხელი შეეშალათ ამაში, რის გამოც გაღიზიანდნენ და დააკავეს ვ. მ. ამასთან, მისი მოხსენებით, მანამდე არც მას და არც ვ. მ.-ს პირადი დაპირისპირება ან შემხებლობა ამ პოლიციელებთან არ ჰქონიათ.

3.8 ბ. ნ.-ის მოხსენებით, როდესაც სასამართლოში ვ. მ.-ის საქმე განიხილებოდა, ვ. მ.-მა შუამდგომლობა დააყენა მოწმის სახით ბ. ნ.-ის დაკითხვის მოთხოვნის შესახებ, რაზეც სასამართლომ განაცხადა იმ მოტივით, რომ ბ. ნ.-ის დაკითხვა საჭირო არ იყო, რადგან საქმეში არსებობდა სხვა მოწმეთა, პოლიციელთა ახსნა-განმარტება.

3.9 მოწმე განმარტავს, რომ ვ. მ.-მა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს მიმართა და შსს-ს გენერალურ ინსპექციაშიც შეიტანა წერილობითი განცხადება, თუმცა მოწმის სახით ჯერჯერობით არც მათ გამოუკითხავთ ბ. ნ.

4. ადვოკატის მოწმის, არასრულწოვანი გ. გ. ას ახსნა-განმარტება:

4.1 საპროცესო კოლეგიის 2022 წლის 19 ოქტომბერის სხდომაზე, მოწმე გ. გ.-მ განმარტა, რომ შემთხვევის დღეს ისიც ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის სამმართველოს პოლიციის VII სამმართველოში, შენობის მესამე სართულზე იმყოფებოდა.

4.2 მოწმის განმარტებით, მან გამომძიებელს განუცხადა, რომ ადვოკატს ელოდებოდა. გამომძიებელმა გ. გ.-ს სთხოვა პირადი ტანსაცმლის გადაცემა, თუმცა გამომძიებელს მისთვის ამოღების შუამდგომლობა და ტანსაცმლის გადაცემის მიზეზი არ განუცხადებია. თავად დადგენილებაში მითითებული იყო, როდის ეცვა გ. გ.-ს აღნიშნული ტანსაცმელი, თუმცა მისი განმარტებით, მას ამგვარად არ გაუცია ეს ინფორმაცია. გ. გ.-ს განმარტებით, როდესაც ადვოკატი ვ. მ. ადგილზე მივიდა, გამომძიებელი მას უფლებას არ აძლევდა, რომ დადგენილებაში წერილობითი შენიშვნა შეეტანა. ამის შემდეგ ადვოკატმა იკითხა - გ. გ. დაკავებული იყო თუ მოწმის სახით იკითხებოდა, რაზეც პოლიციელმა განმარტა, რომ იგი დაკავებული არ იყო და მოწმის სახით იკითხებოდა, რის გამოც მათ წასვლა გადაწყვიტეს, რაც პოლიციელებისთვის უსიამოვნო აღმოჩნდა. მოწმის განმარტებით, შენობიდან გასვლისას მათ ოცამდე პოლიციელი გაჰყვა და წასვლის უფლებას არ აძლევდნენ, შემდეგ პოლიციელები შენობაში დაბრუნდნენ და მალევე უკან გამოვიდნენ, რის შემდეგაც ადვოკატი ვ. მ.-ის გარშემო წრე შეკრეს და გადაადგილების საშუალებას არ აძლევდნენ მას, ბოლოს კი იგი დააკავეს, რამაც მასზე ემოციურად უარყოფითად.

4.3 მოწმე განაცხადებს, რომ ადვოკატის მისვლამდე პოლიციელებმა მას ჩადენილი ქმედების აღიარებისკენ მოუწოდეს. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით ის არ გამოუკითხავთ სასამართლოში ან სხვა ორგანოში. ამასთან, მისი განმარტებით, იგი კმაყოფილია ადვოკატ ვ. მ.-ის მიერ მის მიმართ გაწეული საადვოკატო მომსახურებით.

5. ადვოკატის მოწმის, ნ. გ.-ს ახსნა-განმარტება:

5.1 ეთიკის კომისიის 2022 წლის 19 ოქტომბრის სხდომაზე, მოწმე ნ. გ.-მ განმარტა, რომ მისი არასრულწლოვანი შვილის მიერ ჩადენილი ქმედების შემდეგ პოლიციის თანამშრომლები მათ სახლში იყვნენ და ჩხრეკა ჩაატარეს გ. გ.-ს ტანსაცმლის ამოსაღებად, ხოლო ამ დროს გ. გ. უკვე პოლიციის სამმართველოში ჰყავდათ გადაყვანილი.

5.2 მოწმის განმარტებით, მან პოლიციის შენობაში მისვლის შემდეგ შეიტყო, რომ მისი შვილი ხულიგნობისთვის ჰყავდათ დაკავებული, რის გამოც გადაწყვიტა ადვოკატ ვ. მ.-თან დაკავშირება. ადვოკატის მისვლამდე პოლიციელებმა არასრულწლოვანს ტანსაცმლის გადაცემა მოსთხოვეს, რის შემდეგაც მისი ნების დართვით ამოიღეს ისინი. როდესაც ადვოკატი მივიდა მან გამომძიებელს მიუთითა, რომ ამოღების შუამდგომლობაში ჩასასწორებელი იყო გარკვეული გარემოება და მოითხოვა მისი შესწორება, რაზეც გამომძიებელმა უარი განაცხადა და მათ შორის კამათი დაიწყო.

5.3 ნ. გ.-ს განმარტებით, ადვოკატმა გამომძიებელს ჰკითხა დაკავებული იყო თუ არა არასრულწლოვანი, რაზეც პასუხად უარი მიიღო და რადგანაც გ. გ.დაკავებული არ ჰყავდათ, პოლიციის შენობა ერთად დატოვეს. პოლიციის ადმინისტრაციული შენობის დატოვების შემდეგ მის ეზოში იმყოფებოდნენ, როდესაც 10-15-მდე პოლიციელი გამოვიდა და ადვოკატს ჰკითხეს თუ სად მიყავდა არასრულწლოვანი, ვ. მ. -მა კი განმარტა, რომ გამომძიებლის თქმით, ის დაკავებული არ იყო, რის გამოც უფლება ჰქონდათ შენობა დაეტოვებინათ. აღნიშნული განცხადების შემდეგ პოლიციელებმა განმარტეს, რომ არასრულწლოვნისთვის ბრალი უნდა წაეყენებინათ. ამასთან, ადვოკატს მიმართავდნენ როგორც ზრდილობიანი ფორმით, ისე ფრაზით „ბიჭო“, მოგვიანებით კი ვ. მ. დააკავეს, დაადეს ბორკილები, რასაც არასრულწლოვანიც შეესწრო.

5.4 მოწმის განმარტებით, აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით იგი თბილისის პროკურატურაში გამოკითხეს. ვ. მ.-ის განმარტებით, მან პროკურატურაში განცხადება შეიტანა საადვოკატო საქმიანობის ხელშეშლის და უკანონო დაკავების შესახებ, რაზეც გამოძიება მიმდინარეობს და სწორედ ამ ფაქტთან დაკავშირებით გამოიკითხა ნ. გ. ამასთან, ნ. გ. მეორედ გამოიკითხა თავად ადვოკატ ვ. მ.-ის შუამდგომლობის საფუძველზე, როდესაც თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ ადვოკატის საქმეს განიხილავდა მომხდარ ფაქტზე დაყრდნობით.

II სამოტივაციო ნაწილი

6. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

6.1 ადვოკატი ვ. მ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია - საერთო.

6.2 ს. შ. ს. ს.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2022 წლის 5 სექტემბერს.

6.3 სადავო ქმედება განხორციელებულია 2022 წელს. შესაბამისად, არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის კანონით დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 32.2).

7. შემაჯამებელი დასკვნა:

საპროცესო კოლეგიამ შეისწავლა საქმის მასალები და მიაჩნია, რომ ადვოკატ ვ. მ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონითა (მუხლი 32) და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით, (მუხლი 30.1) გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

8. სამართლებრივი შეფასება:

8.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა ვ. მ.-მა 2022 წლის 20 მარტს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის სამმართველოს პოლიციის VII სამმართველოს შენობაში და შენობის გარეთ, ეზოში, დაარღვია ქცევის წესები - შეურაცხყოფა მიაყენა ს. შ. ს. ს.-ს თანამშრომლებს, კონკრეტულად: ადვოკატმა დახია ფურცლები და გამომძიებელს სახეში შეაყარა, ადვოკატი ყვიროდა, უმისამართოდ ილანძღებოდა და იყენებდა შეურაცხმყოფელ ფრაზეოლოგიას.

8.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატის მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

8.2.1 ადვოკატი ვალდებულია არ შელახოს პროცესის მონაწილეთა უფლებები (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი).

8.2.2 ადვოკატი, რომელიც მონაწილეობს საქმეში საქართველოს ან უცხო ქვეყნის სასამართლოს ან ტრიბუნალის წინაშე, ვალდებულია დაიცვას და პატივი სცეს ამ სასამართლოში თუ ტრიბუნალში მოქმედ ქცევის წესებს (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 9.1).

8.2.3 ადვოკატისა და სასამართლოს ურთიერთობის მარეგულირებელი წესები ასევე ვრცელდება ადვოკატის ურთიერთობაზე პროცესის მონაწილეებთან, აგრეთვე არბიტრაჟთან და ნებისმიერ სხვა პირთან, რომელიც ახორციელებს მართლმსაჯულებას ან სასამართლოს მსგავს ფუნქციას (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 9.4).

8.3 ადვოკატი ვალდებულია პატივისცემა გამოიჩინოს პროცესის მონაწილეების მიმართ. აღნიშნული ვალდებულება არ მოქმედებს მხოლოდ სასამართლო პროცესის განმავლობაში, ის ვრცელდება ნებისმიერ კომუნიკაციაზე ადვოკატსა და ამ ვალდებულების ადრესატს შორის.

8.4 ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში R.S and Z v Switzerland (განაცხადი N10414/83, 1984 წლის 01 ოქტომბრის გადაწყვეტილება) აღნიშნა: „პროფესიული ვალდებულებები და პასუხისმგებლობა ადვოკატს ნებას არ რთავს გააკეთოს სუბიექტური, არაგონივრული და შეურაცხმყოფელი განცხადებები იმგვარად, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს მთელი ადვოკატთა კორპუსის საიმედოობა და ეთიკურობა.“

8.5 საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ როდესაც საჩივრის ავტორი დავობს ადვოკატის მიერ მისთვის შეურაცხყოფის მიყენების ფაქტზე, მას ეკისრება მოპასუხე ადვოკატის სადავო ქცევის დადასტურება, შესაბამისად, საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით

კომისიას უნდა შეექმნას დასაბუთებული ვარაუდი, რომ სადავო ქმედება, რაც სამართლებრივად უნდა შეაფასოს ეთიკის კომისიამ ჩაიდინა მოპასუხე ადვოკატმა.

8.6 ადვოკატის მიერ სადავო ქცევის დასადასტურებლად, საჩივრის ავტორმა წარმოადგინა წერილობითი და ზეპირი ახსნა-განმარტება, ასევე ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის (მოსამართლე ნ. შ.) 2022 წლის 11 ივლისის დადგენილება საქმეზე N, ადვოკატისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ და ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 20 ივლისის დადგენილება საქმეზე N ადვოკატისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ (მოსამართლე მ. ც.). ადვოკატი არ ეთანხმება საჩივრის ავტორის პოზიციას და მიიჩნევს, რომ ს. შ. ს. ს.-ს შენობაში და მის გარეთ, პირიქით, მისი უფლებები შელახეს - მას მიაყენეს შეურაცხყოფა და ხელი შეუშალეს საადვოკატო საქმიანობის განხორციელებაში.

8.7 ადვოკატი არ ეთანხმება სასამართლოს დადგენილებათა შინარსს, დადგენილებაში მითითებულ ფაქტებს და მის მიერ გასაჩივრებულია 2022 წლის 11 ივლისისა და 20 ივლისის დადგენილებები (ადვოკატ ვ. მ. ის 2022 წლის 29 ივლისის სააპელაციო საჩივარი; ადვოკატ ვ. მ. ის 2022 წლის 05 სექტემბრის სააპელაციო საჩივარი).

8.8 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ გადაწყვეტილების მიღებისას კოლეგია ხელმძღვანელობს მხარეთა ახსნა-განმარტებებისა და მტკიცებულებათა შესწავლის საფუძველზე და სადავო ფაქტებს განიხილავს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით. მაშინ როდესაც, მხარეთა ახსნა-განმარტებები ურთიერთგამომრიცხავია, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სადავო ფაქტთან შემხებლობის მქონე სხვა მტკიცებულებებს. „დასაბუთებული ვარაუდი წარმოადგენს ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობას, რომელიც მოცემული დისციპლინური საქმის წარმოების მასალების მიხედვით დააკმაყოფილებდა ნეიტრალურ მეთვალყურეს, რათა დაესკვნა დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენა“ (სუსგ დს/შ10-13, 16.10.2013).

8.9 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მიხედვით, თითოეულ მხარეს ეკისრება იმ გარემოებების მტკიცების ვალდებულება, რომლებზეც ის ამყარებს საკუთარ პოზიციასა და მოთხოვნას. მოცემულ შემთხვევაში საჩივრის ავტორს ეკისრება პოზიტიური ვალდებულება, ეთიკის კომისიას წარუდგინოს საკუთარი პოზიციის დამდასტურებელი უტყუარი მტკიცებულებები, ვინაიდან განსახილველ შემთხვევაში, ადვოკატ ვ. მ.-ის მიერ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტორსათვის შეურაცხყოფის მიყენების ფაქტი, სწორედ საჩივრის ავტორის - ს. შ. ს. ს.-ს სამტკიცებელია.

8.10 თავისი პოზიციის გასამყარებლად, ადვოკატმა ეთიკის კომისიას წარმოუდგინა მტკიცებულება - მოწმეთა პოზიციები. კომისიამ გამოკითხა ადვოკატის სამი მოწმე: ადვოკატის კლიენტი გ. გ., კლიენტის მამა - ნ. გ. და კოლეგა ადვოკატი ბ. ნ. აღნიშნული მოწმეები უშუალოდ შეესწრნენ 2022 წლის 20 მარტს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის სამმართველოს პოლიციის VII სამმართველოს შენობაში და შენობის გარეთ მომხდარ შემთხვევას. მოწმეები არ ადასტურებენ ადვოკატ ვ. მ.-ის მიერ არასათანადო ქცევის - ფურცლების დახევის-სახეში შეყრის, პროკურატურის თანამშრომელთა მიმართ შეურაცყოფის მიყენების ფაქტს და პირიქით,

განმარტავენ, რომ ადვოკატს შეუქმნეს დამამცირებელი გარემო - მოიხსენიებდნენ მიმართვით „ბიჭო"; ადვოკატს არასრულწლოვანი კლიენტის თანდასწრებით დაადეს ბორკილები და არ მისცეს საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობა.

8.11 საჩივრის ავტორს საქმის გარემოებების დასადგენი პირდაპირი მტკიცებულება - კამერების ჩანაწერები კომისიისათვის არ წარმოუდგენია, მაშინ როდესაც ს. შ. ს. ს.-ს შესაბამისი ადმინისტრაციული შენობები აღჭურვილია შიდა და გარე სამეთვალყურეო კამერებით; მომართვის ავტორს კომისიისათვის არ წარმოუდგენია მტკიცებულება, რომ აღნიშნული კამერა შემთხვევის მომენტში არ ახორციელებდა ჩაწერას, იყო ტექნიკური შეფერხება. კოლეგიამ შეაფასა საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულება - სასამართლოს დადგენილება ადვოკატისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ და არ გაიზიარა დადგენილებაში მითითებული ფაქტები, რადგან: ადვოკატმა სასამართლოს წინაშე იშუამდგომლა მოწმის სახით სასამართლოს გამოეკითხა მისი მოწმეები: არასრულწლოვანი გ. გ, არასრულწლოვანის მამა - ნ. გ. და ადვოკატი ბ. ნ. სასამართლომ აღნიშნულ მოწმეთაგან გამოკითხა მხოლოდ არასრულწლოვანის მამა - ნ. გ. ხოლო ეთიკის კომისიამ გამოკითხა ადვოკატის ყველა მოწმე, რომლებიც არ ადასტურებენ ადვოკატის მიერ არასათანადო ქცევის ფაქტს. ადვოკატი იცავდა კლიენტის - არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესს, მისთვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, რასაც მას პროფესია - ადვოკატი ავალდებულებს, კანონმდებლობის ფარგლებში. რა დროსაც მას კლიენტის თვალწინ დაადეს ბორკილები, რაც შეურაცხმყოფელია ადვოკატის პროფესიისთვის.

8.12 ს. შ. ს. ს.-ს წარმომადგენლებს მართებთ განსაკუთრებული გულმოდგინება და თავშეკავება, მაშინ როდესაც ხდება არასრულწოვანთან მიმართებით ქმედების განხორციელება და შსს წარმომადგენელთა მოქმედებები, მათ შორის - სიტყვიერი, არ უნდა იწვევდეს არასრულწლოვნის დათრგუნვას და მასში მძიმე ფსიქო ემოციურ განცდებს. ბუნებრივია, როდესაც არასრულწლოვანი ხედავს რომ მის დამცველს მოიხსენიებენ დამაკნინებელი ფრაზით „ბიჭო" და ასევე მის თვალწინ ადვოკატს აკავებენ ხელბორკილების გამოყენებით, ეს დამთრგუნველია არასრულწლოვანისთვის. მომჩივანმა მხარემ ვერ წარმოადგინა ვერანაირი სახის მტკიცებულება და აპელირება მხოლოდ სასამართლოს დადგენილებაზე ვ. მ.-ის სამართალდამრღვევად ცნობის თაობაზე (თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 11 ივლისისა და 20 ივლისის დადგენილებები), არ არის საკმარისი იმის გათვალიწინებით, რომ სასამართლოშიც შეჯიბრებითობის და თანასწორობის პრინციპის დარღვევას ჰქონდა ადგილი, რადგან ვ. მ.-ს არ მიეცა მოწმეთა გამოკითხვის უფლება სასამართლოზე. ამავდროულად, კანონის ანალოგიით, როგორც სისხლის სამართლის პროცესში ასევე სამოქალაქო საამართლის პროცესში უმნიშვნელოვანესია შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპის დაცვა.

8.13 2022 წლის 07 ივლისის გადაწყვეტილებით საქმეზე Nას-521-22, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „მტკიცების ტვირთის გადანაწილების დროს, უაღრესად დიდი მნიშვნელობისაა ის, თუ როდის გადადის მტკიცების ვალდებულება ერთი მხარიდან მეორეზე. როგორც წესი, ფაქტის მითითებისა და მისი დამტკიცების ტვირთი მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან, თუმცა არც ისაა გამორიცხული,

რომ მატერიალურ სამართლებრივი ნორმით ერთ მხარეს მხოლოდ ფაქტის მითითების ტვირთი ეკისრებოდეს, ხოლო მეორე მხარეს საწინააღმდეგოს დამტკიცების ტვირთი"; ამავე გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ „მოსამართლეს დავის გადასაწყვეტად სჭირდება რელევანტური ფაქტები, რომელთა წარდგენაზე სრული პასუხისმგებლობა ეკისრება მხარეებს და საქმეზე გადაწყვეტილება უნდა იქნეს მიღებული შეჯიბრებითობის პრინციპის სრულად რეალიზაციის პირობებში".

8.14 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, „დადგენილება ბრალდებულის სახით პირის პასუხისგებაში მიცემის შესახებ უნდა ემყარებოდეს დასაბუთებულ ვარაუდს, ხოლო გამამტყუნებელი განაჩენი – უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ." მოცემულ შემთხვევაში, საპროცესო კოლეგია შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში იღებს იმ ფაქტს, რომ საჩივრის ავტორმა არასათანადოდ შეასრულა მასზე დაკისრებული პოზიტიური ვალდებულება, სათანადო მტკიცებულებებით არ გაამყარა საკუთარი პოზიცია, მიუხედავად იმისა, რომ მას, ეთიკის კომისიაში მტკიცებულებების წარმოდგენის შესაძლებლობა ჰქონდა ნებისმიერ დროს, საპროცესო კოლეგიის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, რაც შესაბამისად აისახება საპროცესო კოლეგიის მიერ სამართლებრივი გადაწყვეტილების მიღებაზე. განსახილველ შემთხვევაში, საჩივრის ავტორს, ეთიკის კომისიისათვის არ წარმოუდგენია ისეთი მტკიცებულება, რაც კომისიას დასაბათუბელი ვარაუდის სტანდარტით დაარწმუნებდა ადვოკატის მიერ ს. შ. ს. ს.-ს შენობაში, ასევე შენობის გარეთ არასათანადო ქცევისა და შეურაცხოფის მიყენების ფაქტს. შესაბამისად, ადვოკატ ვ. მ.-ს არ დაურღვევია „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონი, მუხლი 5(გ), ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლები 9.1 და 9.4.

8.15 საპროცესო კოლეგიამ შეაფასა საქართველოს შიანაგან საქმეთა სამინისტოს პრეტენზია იმასთან დაკავშირებით, რომ ადვოკატმა „Facebook"-ის პირად და „***."-ის ღია და საჯარო გვერდზე გაავრცელა შეურაცხმყოფელი ვიდეომიმართვა, რომელშიც ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ნ. შ.-ის და სხვა მოსამართლეების მიმართ გამოიყენა შეურაცხმყოფელი ფრაზები.

8.16 „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის თანახმად, „ეთიკის კომისიის მიერ საჩივარზე წარმოება წყდება და საჩივარი არსებითად არ განიხილება, თუ საჩივარი წარდგენილია იმ პირის მიერ, ვისაც არ აქვს საჩივრის წარდგენის უფლება ამ დებულების მე-6 მუხლის შესაბამისად." ადვოკატის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველია: „ა) პირის საჩივარი, რომელსაც მიაჩნია, რომ ადვოკატის ქმედებით დაირღვა მისი უფლებები და ინტერესები, გარდა ანონიმური საჩივრისა; ბ) ადვოკატის საჩივარი სხვა ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე; გ) პროცესის მწარმოებელი ორგანოს მიმართვა ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე; დ) საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის, აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიის წევრის, სარევიზო კომისიის მიმართვა ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე".

8.17 საპროცესო კოლეგიის განმარტებით, დებულების მე-6 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი იმ პირს ანიჭებს ეთიკის კომისიისათვის მიმართვის უფლებას, რომელსაც მიაჩნია, რომ ადვოკატის ქმედებით დაირღვა მისი უფლებები და ინტერესები. განსახილველ შემთხვევაში ადვოკატის მეორე სადავო ქმედება მიემართება სასამართლოს და ამ პრეტენზიის ნაწილში ს. შ. ს. ს. არაუფლებამოსილი განმცხადებელია.

8.18 ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ 30-ე მუხლის პირველი პუნქტით, 40-ე მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №072/22 ადვოკატ ვ. მ.-ის მიმართ /სიითი №/ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოთ მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /მამუკა ნოზაძე/

კოლეგიის წევრი: /ანა კოტეტიშვილი/

კოლეგიის წევრი: /ზესარიონ ბოხაშვილი/